- პატიმრებისა და დახურული ტიპის დაწესებულებების პერსონალისათვის თემატური და ცნობიერების ამაღლებისთვის შესაბამისი საინფორმაციო მასალების მომზადება, გადათარგმნა, გამოქვეყნება და გავრცელება;
- ზიანის შემცირებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის საჭიროებათა შეფასება;
- ციხეებში ჯანდაცვის გაძლიერება მრგვალი მაგიდების, ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების მეშვეობით;
- სასჯელაღსრულების სამედიცინო დაწესებულებებისათვის სამედიცინო აღჭურვილობის შესყიდვა;
- აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გასაჩივრების მექანიზმის გაუმჯობესებას;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოს 2011-2013 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შეფასება და ახალი დოკუმენტების შემუშავებაში ხელშეწყობა;
- მონიტორინგისა და საგამოძიებო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება.

საკონტაქტო ინფორმაცია
ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
ძმები კაკაბაძეების ქ. 26
0108 თბილისი, საქართველო
Tel: (995 32) 291 38 70

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში

www.coe.ge
www.eeas.europa.eu/delegations/georgia

საქართველომ 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით. ევროპის საბჭო და ევროკავშირი საქართველოს ძირითადი პარტნიორები არიან დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების სფეროში.

საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს მრავალ კონვენციას, მათ შორის, **ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა** და **წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპულ კონვენციას**, რითაც აღიარა წამების საწინააღმდეგო კომიტეტთან სრული თანამშრომლობის ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ მოპყრობის მონიტორინგისა და ამ პირთა დაცვის გაძლიერების კუთხით. ევროპის საბჭოს სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ერთად საქართველომ მიიღო მინისტრთა კომიტეტის სხვადასხვა რეკომენდაცია, როგორიცაა **ციხის ევროპული წესები** და **ციხის პერსონალის ეთიკის ევროპული კოდექსი**, ისევე როგორც სხვა რეკომენდაციები ფსიქიატრიისა და ადამიანის უფლებების, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების დაცვის, აგრეთვე ისეთ პირთა სამართლებრივი დაცვის შესახებ, როგორებიც არიან იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები.

საქართველოში განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავდა სტანდარტების განვრცობას სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროს, პოლიციისა და სასჯელაღსრულების რეფორმების მიმართულებით, აგრეთვე საკანონმდებლო რეფორმებისა და შესაბამისი ინსტიტუტების ფუნქციონირების პროცესის გაძლიერებას.

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში

რეგულარული მონიტორინგის საფუძველზე ევროპის საბჭომ აღნიშნა, რომ დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწის მიზნით. თუმცაღა, სხვადასხვა პრობლემა, რომლებიც შეეხება თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვას, კვლავ გადაუჭრელი რჩება და საჭიროა შემდგომი ძალისხმევა დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, იმის მიუხედავად, ისინი იმყოფებიან ციხეში, დროებითი მოთავსების იზოლატორსა თუ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

საქართველოში რეფორმების გაძლიერების მიზნით ციხეებში, პოლიციისა და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში თავისუფლებააღვეთილ პირთა უფლებების, მათ შორის, ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან მიმართებაში ევროპის საბჭომ ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო ერთობლივი პროგრამის განხორციელება.

პროგრამა **„ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“** მიზნად ისახავს:

- ციხეებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- ციხეებში, პოლიციის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და დახურული ტიპის სხვა, მაგალითად, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაძლიერებას ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- სახელმწიფო ორგანოების მონიტორინგისა და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერებას არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის პრევენციის მიზნით ევროპული და სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის **მიზნობრივი ჯგუფი** მოიცავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურას, სახალხო დამცველის აპარატს, ციხეების სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალს, პოლიციის თანამშრომლებს, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულე-ბებს.

პროგრამა **მიზნად ისახავს** სამედიცინო მომსახურებაზე პატიმართა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. მის ამოცანებს

შორის აგრეთვე მოიაზრება გაუმჯობესებული სტანდარტები, ინსტიტუციური ჩარჩო და შესაძლებლობების გაძლიერება ფსიქიატრიული მკურნალობის უზრუნველსაყოფად ციხეებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში. ამასთან, უნდა გაძლიერდეს ეროვნული მონიტორინგი და საგამოძიებო სისტემები არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ამ შედეგების მიღწევის მიზნით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ევროპის საბჭო განახორციელებს **მთელ რიგ აქტივობებს**. მათ შორისაა:

- ხელისუფლებისათვის საკანონმდებლო მხარდაჭერა;
- სასჯელაღსრულების სისტემის 2013-2014 წლების ჯანდაცვის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება და ახალი დოკუმენტების შემუშავებაში დახმარება;
- ჯანდაცვის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება და ახალი დოკუმენტების შემუშავებაში დახმარება;
- დაავადებათა პრევენციის სასწავლო პროგრამის შემუშავება;